ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო87. 8723208001**
თარიღი:**27/07/2023**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომა**

**ოქმი №7**

ქ. ახმეტა, 26 ივლისი, 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: გ.ონიაშვილი, გ.შაშიაშვილი, კ.მამულაშვილი
ბ.კაიშვილი, რ.გახუაშვილი, გ.მამუჩარაშვილი
შ.ტერტერაშვილი

სხდომა გაიხსნა $11^{00}$ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგი:**

1. **საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.**

**/მომხსენებელი- ილია გუმაშვილი/**

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

2. **საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ**

**/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/**

3. **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 96144 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.12.32.222) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ**

**/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/**

4. **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მაღრაანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8443.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.09.31.278) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ**

**/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/**

5. **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 856.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.10.36.273) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ**

**/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/**

6. **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შენობის (ს/კ - 50.04.42.100) პირველ სართულზე მდებარე 55.0 კვ.მ. ფართობის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უსასყოდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

**/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/**

დღის წესრიგის პროექტის გაცნობის შემდეგ, იოსებ ქარუმაშვილმა გააკეთა განცხადება შვებულებაში გასვლის შესახებ.

საკითხი: **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის იოსებ ქარუმაშვილის შვებულების შესახებ** ,-დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბიუროს დღის წესრიგის პროექტი

7 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**<u>მოისმინეს:</u> საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს:

ნორმატიული აქტის პროექტის მიზეზი არის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილება, რომლის მიხედვითაც 209[3] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის ადმინისტრაციული წარმოება საჭირო არ არის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეული ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).

ასევე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N56 დადგენილებით დამტკიცებული მკაცრი აღრიცხვის ფორმები საჭიროებს განახლებას.

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან შესაბამისი დადგენილების მიღება.

პროექტის მიხედვით დადგენილება შედგება 6 მუხლისგან და 5 დანართისგან. პირველი მუხლის მიხედვით დამტკიცდება ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი, საჯარიმო ქვითრის და ოქმის ფორმები, მათი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის ფორმა.

მე-2 მუხლის მიხედვით ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის წედამხედველობის და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების საჯარო მოსამსახურეებს მიენიჭებათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ $209^3$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის და საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება.

მე-3 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის (როდესაც ადგილზე არ შედგება საჯარიმო ქვითარი) უფლებამოსილება მიენიჭება ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის წედამხედველობის განყოფილების საჯარო მოსამსახურეებს, გარდა სამართალდარღვევათა კოდექსის $43^1$, $43^2$, $46^5$, $46^6$, $172^8$, $172^9$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისა.

მე-4 მუხლის მიხედვით $43^1$, $43^2$, $46^5$, $46^6$, $172^8$, $172^9$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭება ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების საჯარო მოსამსახურეებს.

მე-5 მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდება „ახმეტის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ ახმეის მუნიციპალიტეტის 2011 წლის 16 დეკემბრის N56 დადგენილება.

პირველ და მეორე დანართებში ფართოდ არის მოცემული ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საჯარიმო ქვითრის და ოქმის შედგენასთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის დღის წესრიგის პროექტში ჩასმას

7 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**<u>მოისმინეს:</u> საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ**

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს წევრებს წარმოდგენილი საპროექტო წინადადება თანდართული დანართის შესაბამისად და უპასუხა შეკითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას

7 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 96144 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.12.32.222) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 96144 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.12.32.222) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -4960.00 (ოთხიათას ცხრაასსამოცი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 20 (ოცი) წლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას

7 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მაღრაანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8443.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.09.31.278) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ**

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მაღრაანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8443 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.09.31.278) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -735.00 (შვიდას ოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 20 (ოცი) წლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას

7 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 856.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.10.36.273) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 856.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.10.36.273) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით -200.00 (ორასი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 10 (ათი) წლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის დღის წესრიგის პროექტში ჩასმას

7 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შენობის (ს/კ - 50.04.42.100) პირველ სართულზე მდებარე 55.0 კვ.მ. ფართობის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უსასყოდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს - განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შენობის (ს/კ - 50.04.42.100) პირველ სართულზე მდებარე 55.0 კვ.მ. ფართობის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი - 202051536) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემა 2 (ორი) წლის ვადით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას

7 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

ბიუროს სხდომა დაიხურა $12^{30}$ საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი